წარმატება მოაქვს კონტრშეტევას

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 9 მაისი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

“ჩერნომორეცი”: კრამარენკო, ნეჩაევი, ლეშჩუკი, რიბაკი, პოლიშჩუკი (კრავჩენკო), ფეიდმანი (ნაპრეევი), საპოჟნიკოვი, პლოსკინა, მაკაროვი, პოგორელოვი, შევჩენკო.

“დინამო”: გოგია, ებრალიძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

მსაჯი: მ. მკრტჩიანი (ერევანი).

გაფრთხილებულია ხინჩაგაშვილი.

დუბლიორები – 0:2.

გამარჯვების დღეს ოდესა დიდი ზეიმით აღნიშნავდა, ყველაფერს სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა. თბილისის “დინამოს” სპორტულმა დელეგაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო მოძმე უკრანელი ხალხის ამ ზეიმში, ფეხბურთელები სრული შემადგენლობით გაემართნენ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე და ყვავილების თაიგულებით შეამკეს იგი.

ამ მატჩისთვის “ჩერნომორეცი” სათავეში ედგა უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილს, ამიტომ გუნდმა ბრძოლა პირველივე წუთებიდან გამარჯვებისთვის წარმართა. ოდესელები ხშირად, ენერგიულად უტევდნენ. თბილისელთა დაცვას სრული დატვირთვით მოუხდა თამაში, მინდვრის შუაგულში ბევრს მუშაობდნენ ნახევარმცველები, რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთი აიღო გოგიამ.

მასპინძლები მაღალი გადაცემებით ცდილობდნენ თვიანთი თავდამსხმელების გაყვანას სახიფათო პოზიციაში, მაგრამ “დინამოს” მცველები კარგად იგერიებდნენ ამ იერიშებს და შემდეგ საპასუხო შეტევებსაც იწყებდნენ.

სწორედ ერთ–ერთმა ასეთმა კონტრშეტევამ მოუტანა გუნდს სასურველი შედეგი: 71–ე წუთზე ყიფიანმა მიიღო ჭელიძის შორეული გადაცემა, სწრაფად გავიდა ორ მცველს შორის და მეკარის პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა დაბალ კუთხეში.

მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის, მაგრამ დინამოელებმა საიმედოდ ითამაშეს დაცვაში და მოიგეს ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი.

“ლელო”, 11 მაისი, 1976 წ.